ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4471884

ნომერი: AR1668952

თარიღი : 18.03.2019

გაცემის თარიღი : 22.04.2019

გაცნობის თარიღი : 22.04.2019

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა აბაშიძე , N 34;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნინო ხოსრუაშვილი პ/ნ 01009011823
- თბილისი ვაჟა-ფშაველას გამზ. II კვ. კორ. 12 ბ. 58

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 12 ივლისის №3392863 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2019 წლის 18

მარტს №AR1668952 განცხადებით მომართა ნინო ხოსრუაშვილმა და მოითხოვა ამავე სამსახურის 2017 წლის 12 ივლისის №3392863 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 12 ივლისის №3392863 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, სექტორი ვაკე, ქუჩა აბაშიძე , N 34, თანასაკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი N01.14.11.029.070) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2017 წლის 12 ივლისიდან 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.
განმცხადებლის განმარტებით, სამსახურის 2017 წლის 12 ივლისის №3392863 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაშვებულ იქნა ტექნიკური შეცდომა. კერძოდ, საცხოვრებელი ფართობი 9560.4 კვ.მ-ის ნაცვლად უნდა იყოს 9440.5 კვ.მ, კომერციული ფართობი 2620.8 კვ.მ-ის ნაცვლად 2775.7 კვ.მ. ავტოსადგომის ფართობი 2056.3 კვ.მ-ის ნაცვლად უნდა იყოს 2058.7 კვ.მ, ამასთან გამორჩენილია საზაფხულო ფართობი: 2922.4 კვ.მ, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი: 1257.8 კვ.მ-ის ნაცვლად უნდა იყოს 1256.8 კვ.მ შესაბამისად, საერთო ფართობი 15977.7 კვ.მ-ის ნაცვლად 18936.5 კვ.მ. განმცხადებლის მიერ ასვეე წარმოდგენილია გასწორებული გეგმები.
სამსახურმა განმცხადებლების მიერ წარმოდგენილი შეცვლილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები და გეგმები შეადარა შეთანხმებულ არქიტექტურულ გეგმა–ნახაზებს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა წარმოდგენილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები ფართობების არასწორი დაჯამების გამო, რაც შემდგომ აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში. შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლების მოთხოვნა და გაასწოროს ტექნიკური შეცდომა მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორების უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 12 ივლისის №3392863 ბრძანებაში და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაფიქსირდეს: საცხოვრებელი ფართობი: 9440.5 კვ.მ, კომერციული ფართობი: 2775.7 კვ.მ. ავტოსადგომის ფართობი: 2058.7 კვ.მ, საზაფხულო ფართობი: 2922.4 კვ.მ, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი: 1256.8 კვ.მ. საერთო ფართობი: 18936.5 კვ.მ.
2. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 12 ივლისის №3392863 ბრძანებით შეთანხმებული გეგმები ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებით წარმოდგენილი გეგმებით.
3. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 12 ივლისის №3392863 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 12 ივლისის №3392863 ბრძანებასთან ერთად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.